საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დოღონაძე ანა ალექსანდრეს ასული

დოღონაძე ანა ალექსანდრეს ასული (დ. 15. II. 1973, მცხეთა), სპორტსმენი (ბატუტზე ხტომა), ოლიმპიური ჩემპიონი (ათენი, 2004), მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1990 – გუნდური, 1998 – სინქრონული, 2001 – პირადი), სამგზის მეორე (სინქრონული – 1999, 2001, გუნდური – 2001) და ექვსგზის მესამე (1998, 1999, 2003, 2005 – პირადი, 2003, 2005 – სინქრონული) პრიზიორი; მსოფლიო თასის ორგზის მფლობელი (სინქრონი – 1993, პირადი – 2000), ევრ. სამგზის ჩემპიონი (1997, 1998 – სინქრონული, 1998 – პირადი), სსრკ ჩემპიონი (1990 – პირადი), ევრ. ორგზის აბსოლუტური ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1988, 1990).

1998-იდან ასპარეზობს გერმანიის სახელით.